სადამფუძნებლო შეთანხმება

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის- კოლეჯი „პრესტიჟის“ სარეგისტრაციო მონაცემები

* – სიმბოლოთი აღნიშნული ველების შევსება სავალდებულოა

სამართლებრივი ფორმა --- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

***საფირმო სახელწოდება** - კოლეჯი „პრესტიჟი“
უნდა განისაზღვროს ქართულ ენაზე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვლისწინებული წესით

*** საფირმო სახელწოდება ინგლისურ ენაზე** - College Prestige
უნდა შეესაბამებოდეს ქართულ ენაზე განსაზღვრულ სახელწოდებას

*** საიდენტიფიკაციო ნომერი**: 231287005
უნდა მიეთითოს სქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული ცხრანიშნა ნომერი

*** იურიდიული მისამართი:** ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N1ა.
უნდა მიეთითოს ორგანიზაციის იურიდიული მისამართი

ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტის მისამართი - telavi.prestige@gmail.com

(არსებობის შემთხვევაში - ელექტრონული ფოსტის მისამართი, განსაზღვრული უნდა იყოს ლათინული შრიფტით)

ორგანიზაციის ტელეფონის ნომერი + 995 577 50 49 99
(არსებობის შემთხვევაში)

***დამფუძნებლები** (მიეთითება ინფორმაცია თავდაპირველი დამფუძნებლის/დამფუძნებლების შესახებ)
ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი

1. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (ს/კ: 202051224), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის N52.

***ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი/პირები**
(ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი - ასევე უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია)

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟის“ დირექტორი - კონსტანტინე დოლიძე, პ/ნ: 01011044283; მის.: ქ. თელავი, 26 მაისის II ჩიხი, ბინა №1; ელ. ფოსტა: kotedolidze@gmail.com; ტელ.: +599 577 177 979;

***ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები**
(უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელი ორგანოს წევრები ერთობლივად (ერთად) წარმოადგენენ ორგანიზაციას, თუ ერთპიროვნულად (ცალ-ცალკე). თუ ხელმძღვანელი ორგანოს წევრებს აქვთ განსხვავებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, ასეთი უფლებამოსილების ფარგლები უნდა მიეთითოს თითოეული ხელმძღვანელი ორგანოს წევრთან მიმართებით)

წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ერთპიროვნულად ენიჭება დირექტორს

***ორგანიზაციის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი**
(რამდენიმე ხელმძღვანელი/წარმომადგენელი პირის არსებობის შემთხვევაში უნდა მიეთითოს მხოლოდ ერთი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟის“ დირექტორი- კონსტანტინე დოლიძე, პ/ნ: 01011044283; მის.: ქ. თელავი, 26 მაისის II ჩიხი, ბინა №1;

***ორგანიზაციის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი**

kotedolidze@gmail.com

(ელექტრონული ფოსტის მისამართი, განსაზღვრული უნდა იყოს ლათინული შრიფტით)

+599 577 177 979

(საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორის მობილური ტელეფონის ნომერი)

მმართველი ორგანო: დამფუძნებელი -

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახლგაზრდობის სამინისტრო (ს/კ: 202051224), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის N52.

(ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი - ასევე უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია))

*** საქმიანობის მიზანი:**

კოლეჯის მიზანია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა.

დანართი: წესდება

კონსტანტინე დოლიძე, პ/ნ: 01011044283

ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი

ხელმოწერა

თარიღი: ----------

Konstantine Dolidze 01011044283

Digitally signed by Konstantine Dolidze
Date: 2024.09.09 16:30:44

დანართი N1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - კოლეჯის „პრესტიჟი“ წესდება

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი კოლეჯი „პრესტიჟი“ (შემდგომში - კოლეჯი) წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის დამფუძნებელია და სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო).
2. კოლეჯი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ამ წესდების შესაბამისად.
3. კოლეჯი საკუთარ მიზნებსა და უფლებამოსილებებს ახორციელებს დამოუკიდებლად.
4. კოლეჯს აქვს დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება, საბანკო ანგარიში, ბეჭედი და იურდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
5. კოლეჯის მისამართია: ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1ა.

მუხლი 2. კოლეჯის მიზნები და უფლებამოსილებები

1. კოლეჯის მიზანია, რეგიონის ადამიანური კაპიტალის გაძლიერება, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა, ასევე რეგიონში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მხარდაჭერა მათი ორგანიზაციული და პროფესიული განვითარებისათვის.
2. თავისი მიზნების მისაღწევად კოლეჯი უფლებამოსილია:
ა) განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
ბ) განახორციელოს მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები;
გ) განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამები;
დ) განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამები;
ე) განახორციელოს სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამები;
ვ)განახორციელოს ტრენინგ-კურსები და პროგრამები არაფორმალური განათლების ფარგლებში;
ზ) განახორციელოს ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან/დაწესებულებებთან ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით;

თ) განახორციელოს გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით;
ი) განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობა, მათ შორის, სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაცია/ანაზღაურებადი მომსახურების გაწევა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ფინანსური სახსრების მოზიდვა, მათ შორის, შემოსავლის მიღება ისეთი ეკონომიკური საქმიანობიდან, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო არ არის და სწავლების ხარისხზე უარყოფითად არ მოქმედებს.
კ) წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და დამფუძნებელთან შეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დააფუძნოს სამეწარმეო იურიდიული პირი ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;
ლ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.
3. კოლეჯს უფლება აქვს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვებასთან (მათ შორის კოლეჯის მომდევნო ავტორიზაციასთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფორმის, ადგილის/ფართის ცვლილებასთან და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები განახორციელოს მხოლოდ სამინისტროს წინასწარი წერილობითი თანხმობის მოპოვების შემდგომ.
4. პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისას კოლეჯი ვალდებულია:
ა) შექმნას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისთვის საჭირო ყველა პირობა, თითოეული პროფესიული სტუდენტის/მსმენელის განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით;
ბ) ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, შექმნას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისთვის საჭირო ყველა პირობა, თითოეული პროფესიული სტუდენტის/მსმენელის განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით;
გ) შექმნას ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების პირობები; საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის შეიმუშავოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია;
დ) უზრუნველყოს პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;
ე) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს კოლეჯის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;

ვ) უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით თანასწორად სარგებლობა;
ზ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილებების დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობა;
თ) უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში პროფესიულ სტუდენტთა, მსმენელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სოციალური პარტნიორების მონაწილეობა;
ი) ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმებას/თვითდასაქმებას და ამ მიზნით აქტიურად ითანამშრომლოს დამსაქმებლებთან ან/და მათ გაერთიანებებთან;
კ) ხელი შეუწყოს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას, როგორც კოლეჯის ფარგლებში, ასევე რეალურ სამუშაო გარემოში;
ლ) პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის მიზნით, ხელი შეუწყოს საქართველოს და უცხო ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობასა და უცხო ქვეყნების შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლას;
მ) განავითაროს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
ნ) პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, შეასრულოს უნარების ჰაბის ფუნქცია რეგიონში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ინსტიტუციური გაძლიერება შესაბამისი სერვისების მიწოდებისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნისა და განხორციელების გზით;
ო) რეგიონულ დონეზე განახორციელოს საჯარო-კერძო პარტნიორობის მხარდაჭერა;
პ) რეგიონის დონეზე უზრუნველყოს პროფესიული განათლების პოპულარიზაცია, სამიზნე ჯგუფების ინფორმირებისა და მოწყვლადი ჯგუფების პროფესიულ განათლებაში ჩართვის ხელშესაწყობად;
ჟ) შეიმუშაოს და განავითაროს პროფესიულ განათლებაში ინოვაციური მართვა და სწავლების მოდელები და მათი დანერგვისთვის გააძლიეროს რეგიონის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები.

თავი II
კოლეჯის მართვა

მუხლი 3. კოლეჯის დირექტორი

1. კოლეჯის მართვის ორგანოა კოლეჯის დირექტორი (შემდგომ-დირექტორი), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დამფუძნებელი. დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება კონკურსის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, 5 (ხუთი) წლის ვადით. პირი ერთი და იმავე კოლეჯის დირექტორის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
2. დირექტორად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
ა) იცის სახელმწიფო ენა;

ბ) არ არის ნასამართლევი;
გ) მიღებული აქვს უმაღლესი განათლება;
დ) აკმაყოფილებს კოლეჯის დირექტორის სტანდარტს.
3. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი უფლებამოსილია განსაზღვროს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
4. დირექტორს ჰყავს მოადგილე (მოადგილეები). დირექტორის მოადგილეთა რაოდენობა განისაზღვრება კოლეჯის საშტატო ნუსხით. დირექტორი ახალი დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნამდე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დირექტორის მოადგილეს (მოადგილეებს) და განსაზღვრავს მის (მათ)ფუნქციებს.
5. დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის ან განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტით წინასწარ განსაზღვრული დირექტორის მოადგილე, ხოლო განსაზღვრული დირექტორის მოადგილის მიერ დირექტორის მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, დირექტორის სხვა მოადგილე ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამ უკანასკნელის არ არსებობის ან მის მიერ დირექტორის მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კოლეჯის ერთ-ერთი თანამშრომელი.
6. დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) ის გადადგა თანამდებობიდან;
ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენი;
გ) ის სასამართლომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარა, გარდაცვლილად გამოაცხადა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
დ) ის ზედიზედ 4 თვის განმავლობაში ვერ ასრულებს მისთვის საქართველოს კანონმდებლობით ან კოლეჯის წესდებით (დებულებით)განსაზღვრულ უფლებამოსილებას;
ე) ის ჯეროვნად ვერ ასრულებს მისთვის საქართველოს კანონმდებლობით ან კოლეჯის წესდებით (დებულებით) განსაზღვრულ უფლებამოსილებას;
ვ) ის ვერ აკმაყოფილებს კოლეჯის დირექტორის სტანდარტს;
ზ) ის გარდაიცვალა.
მუხლი 4. კოლეჯის დირექტორის ფუნქციები
დირექტორი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:
ა) ახორციელებს კოლეჯის მართვას საჯაროობის და გამჭვირვალობის პრინციპების შესაბამისად;
ბ) უზრუნველყოფს ხელშეკრულებების/მემორანდუმების დადებასა და შესრულებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; წარმოადგენს კოლეჯს მესამე პირებთან ურთიერთობებში;
გ) ამტკიცებს კოლეჯის პროგრამებს და ბიუჯეტს, წარმართავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას;
დ) ამტკიცებს კოლეჯის ხედვას, მისიას, განვითარების მოკლევადიან/გრძელვადიან სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს; კორდინაციას უწევს გეგმების/პროექტების ინიციატივების განხორციელებას;
ე) დამფუძნებელს დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის წესდების პროექტს;

ვ) დამფუძნებელთან შეთანხმებით ამტკიცებს საშტატო ნუსხასა და სახელფასო ფონდს;
ზ) უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და კოლეჯის სხვა თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებას, უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით შეწყვიტოს მათთან შრომითი ურთიერთობა;
თ) საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლევრივ აქტს – ბრძანებას;
ი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს წარუდგენს გასული წლის საქმიანობის ანგარიშს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებისა და სასწავლო პროცესის შესახებ;
კ) არა უგვიანეს ყოველი წლის თხუთმეტი თებერვლისა სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს წერილობით წარუდგენს გასული წლის ფინანსურ ანგარიშგებას;
ლ) უფლებამოსილია დადოს გარიგებები, გარდა იმ გარიგებებისა, რომელთათვისაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობა;
მ) უზრუნველყოფს კოლეჯში მიმდინარე ხარისხიან საგანმანათლებლო და სასწავლო პროცესს;
ნ) ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტებზე ორიენტირებული სერვისების განვითარებას;
ო) ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების განხორციელებისა და სხვა სახის თანამშრომლობის მიზნით;
პ) კოორდინაციას უწევს პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას შრომის ბაზრის ტენდენციების შესაბამისად;
ჟ) ხელს უწყობს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას, სტუდენტთა სამეწარმო განათლებასა და სწავლა-სწავლების პროცესში თანამედროვე მიდგომების გამოყენებას;
რ)ეფექტიანად წარმართავს/განკარგავს კოლეჯის ადამიანურ/ფინანსურ/მატერიალურ რესურსებს და ხელს უწყობს აღნიშნული რესურსების განვითარებას;
ს) ანაწილებს მოვალეობებს კოლეჯის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს, ზედამხედველობას უწევს კოლეჯის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;
ტ) ზრუნავს კოლეჯის კონკურენტუნარიანობასა და მის პოპულარიზაციაზე;
უ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და კოლეჯის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 5. კოლეჯის დამფუძნებელი

1. კოლეჯის დამფუძნებელი:
ა) ზედამხედველობს კოლეჯის დირექტორის საქმიანობას;
ბ) თანხმობას აძლევს დირექტორს ძირითადი სტრუქტურული ერთეულების შექმნაზე და გაუქმებაზე;
გ) ახორციელებს კოლეჯის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კონტროლს;

დ) დირექტორს აძლევს თანხმობას უძრავი ქონების შეძენაზე, კოლეჯის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ქონების გასხვისებასა და დატვირთვაზე;
ე) დირექტორს აძლევს თანხმობას სესხის აღებაზე;
ვ) დირექტორს აძლევს თანხმობას თავდებობაზე;
ზ) ითანხმებს დირექტორის მიერ წარმოდგენილ საშტატო ნუსხასა და სახელფასო ფონდს;
თ) განსაზღვრავს სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში, კოლეჯის ფუნქციონირების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობათა დასახელებებს, რაოდენობას და სახელფასო ფონდს;
ი) ამტკიცებს კოლეჯის წესდებას;
კ) ამტკიცებს დირექტორის მიერ წარდგენილ კოლეჯის შინაგანაწესს;
ლ) თანხმობას აძლევს დირექტორს წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად სამეწარმეო იურიდიული პირის ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებაზე;
მ) ითანხმებს სხვა გადაწყვეტილებებს დაკავშირებულს კოლეჯის ქონებასთან, თუ ისინი სცილდება ამ წესდებით გათვალისწინებულ ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს;
ნ) უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს კოლეჯის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

თავი III
კოლეჯის ქონება და დაფინანსების წყაროები

მუხლი 6. კოლეჯის ქონება და საბუღალტრო ანგარიშგება

1. კოლეჯის ქონება შედგება მისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს, ფიზიკური პირების და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ გადაცემული, ასევე საკუთარი სახსრებით შეძენილი ქონებისაგან.
2. კოლეჯი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეადგინოს ფინანსური ანგარიშგება და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამინისტროს.

მუხლი 7. კოლეჯის დაფინანსება

1. კოლეჯის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
ა) დამფუძნებლ(ებ)ის მიერ განხორციელებული ფულადი ან არაფულადი შენატანები;
ბ) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
გ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
დ) ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;
ე) „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სხვა კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.
2. კოლეჯის შემოსულობები და გადასახდელები მის ბიუჯეტში აისახება. კოლეჯს სახელმწიფო ხაზინაში გახსნილი აქვს ანგარიში, აქვს ბეჭედი და ელ. ხელმოწერა/შტამპი.
3. კოლეჯის სახსრების განკარგვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და მთლიანად ხმარდება კოლეჯის მიზნებისა და უფლებამოსილებების შესრულებას. კოლეჯის სახსრების გამოყენება სხვა მიზნებისათვის აკრძალულია.

თავი IV
კოლეჯის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 8. კოლეჯის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია
კოლეჯის რეორგანიზაციას და ლიკვიდაციას ახორციელებს დამფუძნებელი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი V
კოლეჯის წესდებაში ცვლილების შეტანის წესი

მუხლი 9. კოლეჯის წესდებაში ცვლილების შეტანის წესი
კოლეჯის წესდებაში ცვლილების შეტანა ხორციელდება დამფუძნებლის გადაწყვეტილებით.

თავი VI
გარდამავალი დებულებები

მუხლი 10. გარდამავალი დებულებები
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - პროფესიული კოლეჯის „პრესტიჟი“ უფლებამონაცვლეს წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - კოლეჯი „პრესტიჟი”.

დამფუძნებლის ხელმოწერა:

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
(ს/კ: 202051224)
მინისტრის მოადგილე - ტარიელ გუგავა (პ/ნ:01024034702)

Tariel Gugava 01024034702

Digitally signed by Tariel Gugava
Date: 2024.09.09 12:08:19